

შპს „სოფმარ“



ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

ქ. ფოთი
2022 წელი

შინაარსი

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში
2. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
3. სრული შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება
4. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
5. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
6. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები.

№

22.09.2023

C230A

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „სოფმარ“-ის (შემდგომში „საწარმო“) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- საწარმოს ფუნქციონირებადობის შეფასებაზე და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით, თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში საწარმოს ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:


- საწარმოს ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ასახავს საწარმოს გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- საწარმოს აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება საწარმოს დირექტორის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად.

პატივისცემით

შპს „სოფმარ“-ის

ვახტანგ ალანია



შპს „სოფმარ“-ის
დამფუძნებელს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „სოფმარ“-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „სოფმარ“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

მარაგი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 486 179 ლარის ღირებულებით. ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებების მოპოვება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „სოფმარ“-ის მარაგების საბალანსო ღირებულების შესახებ, რადგან აუდიტორულად დავინიშნეთ საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ვერ დავესწარიტ მარაგების ინვენტარიზაციის პროცესს. ალტერნატიული გზით აუდიტის მტკიცებულებების მოსაპოვებლად არ ჩავგიტარებია მარაგის შერჩევითი ინვენტარიზაცია, რადგან ამ გზით მოპოვებული ინფორმაცია ვერ იქნებოდა სანდო იმის გათვალისწინებით, რომ აუდიტორულმა პროცედურებმა ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ინვენტარიზაციის უწყისებში გამოავლინა არსებითი ღირებულების ექსპლუატაციაში მყოფი ძირითადი საშუალებები, რომლებიც შესაბამისად იქნა შესწორებული. ამიტომ ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე სხვა კორექტირებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ მარაგის თანხაში და ფინანსური შედეგის ანგარიშგებაში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ შპს „სოფმარ“-ის იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად,

რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად წარმოდგენილ საქმიანობის მიმოხილვას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მის ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, რომელიც აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მივიღეთ, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება. ამასთან საქმიანობის მიმოხილვის შესახებ კანონით მოთხოვნილი მოსაზრება წარმოდგენილია წინამდებარე დასკვნის ქვესათაურში - „მოსაზრება სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე.“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს სს შპს „სოფმარ“-ის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოხმულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „სოფმარ“-ის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს „სოფმარ“-ის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნა-

სუპერ-აუდიტი



SUPER-AUDIT

აუდიტორული ფირმა

AUDITING FIRM

ში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს „სოფმარ“-ის უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს „სოფმარ“-ის პასუხისმგებელ პირებს, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი

აუდიტორი:

ნუგზარ ლამანძია

22.09.2023



სრული შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2022	31.12.2021
ამონაგები	4	22 750 622	12 847 494
სხვა შემოსავლები	5	202 681	428 788
ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		5 768	(44 498)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შემცენა		(1 825 116)	(958 106)
დასაქმებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(1 314 218)	(1 127 567)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(398 604)	(449 279)
შემცენილი მომსახურების ხარჯი	6	(17 114 135)	(9 843 944)
საგადასახადო ხარჯი		(30 165)	(36 217)
საკუროსო სხვაობის ხარჯი		(445 934)	(384 586)
სხვა ხარჯი	7	(43 169)	(41 102)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		1 787 730	390 983
ფინანსური ხარჯი	8	(57 861)	(66 394)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		1 729 869	324 589
მოგების გადასახადი		(35 197)	(30 372)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		1 694 672	294 217
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი წლის დასაწყისში		5 392 706	5 820 764
სარეზერვო ფონდის შემცირება		-	725
წლის განმავლობაში გადახადილი დივიდენდი		(1 087 561)	(723 000)
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი წლის ბოლოს	9	5 999 817	5 392 706

დირექტორი

ვახტანგ ალანია

მთ. ბუღალტერი

ლუდმილა ყამარაული

სრული შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2022	31.12.2021
ამონაგები	4	22 750 622	12 847 494
სხვა შემოსავლები	5	202 681	428 788
ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		5 768	(44 498)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შემენა		(1 825 116)	(958 106)
დასაქმებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(1 314 218)	(1 127 567)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(398 604)	(449 279)
შემენილი მომსახურების ხარჯი	6	(17 114 135)	(9 843 944)
საგადასახადო ხარჯი		(30 165)	(36 217)
საკურსო სხვაობის ხარჯი		(445 934)	(384 586)
სხვა ხარჯი	7	(43 169)	(41 102)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		<u>1 787 730</u>	<u>390 983</u>
ფინანსური ხარჯი	8	(57 861)	(66 394)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		<u>1 729 869</u>	<u>324 589</u>
მოგების გადასახადი		(35 197)	(30 372)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		<u>1 694 672</u>	<u>294 217</u>
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი წლის დასაწყისში		5 392 706	5 820 764
სარეზერვო ფონდის შემცირება		-	725
წლის განმავლობაში გადახადილი დივიდენდი		(1 087 561)	(723 000)
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი წლის ბოლოს	9	<u>5 999 817</u>	<u>5 392 706</u>

დირექტორი



მთ. ბუღალტერი

ვახტანგ ალანია

ლუდმილა ყამარაული

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	10	2 901 630	2 241 926
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	1 088 286	806 659
საგადასახადო მოთხოვნები	12	74 250	63 570
მარაგი	13	483 179	477 411
სულ მიმდინარე აქტივები		<u>4 547 345</u>	<u>3 589 566</u>
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	14	2 460 542	2 833 662
არამატერიალური აქტივი		1 400	1 400
ბიოლოგიური აქტივები		-	200
სულ გრძელვადიანი აქტივი		<u>2 461 942</u>	<u>2 835 262</u>
სულ აქტივები		<u>7 009 287</u>	<u>6 424 828</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		317 451	302 085
გადასახდელი პროცენტი		356 181	476 679
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		333 858	251 378
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		<u>1 007 490</u>	<u>1 030 142</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		<u>-</u>	<u>-</u>
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1 980	1 980
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	9	5 999 817	5 392 706
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>6 001 797</u>	<u>5 394 686</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>7 009 287</u>	<u>6 424 828</u>

დირექტორი

ვახტანგ აღანია

მთ. ბუღალტერი

ლუდმილა ყამარაული


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	10	2 901 630	2 241 926
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	1 088 286	806 659
საგადასახადო მოთხოვნები	12	74 250	63 570
მარაგი	13	483 179	477 411
სულ მიმდინარე აქტივები		<u>4 547 345</u>	<u>3 589 566</u>
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	14	2 460 542	2 833 662
არამატერიალური აქტივი		1 400	1 400
ბიოლოგიური აქტივები		-	200
სულ გრძელვადიანი აქტივი		<u>2 461 942</u>	<u>2 835 262</u>
სულ აქტივები		<u>7 009 287</u>	<u>6 424 828</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		317 451	302 085
გადასახდელი პროცენტი		356 181	476 679
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		333 858	251 378
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		<u>1 007 490</u>	<u>1 030 142</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		<u>-</u>	<u>-</u>
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1 980	1 980
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	9	5 999 817	5 392 706
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>6 001 797</u>	<u>5 394 686</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>7 009 287</u>	<u>6 424 828</u>



დირექტორი
მთ. ბუზალაძე



ვატანგ ალანია

ლოდმილა ყამარაული

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

	31.12.2022	31.12.2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	23 032 056	12 565 624
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(19 407 194)	(10 837 476)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(1 040 812)	(900 622)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	2 584 050	827 526
გადახდილი მოგების გადასახადი	(5 340)	-
გადახდილი გადასახადები	(465 538)	(319 286)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2 113 172	508 240
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(38 242)	(28 187)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(38 242)	(28 187)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდი	(1 033 048)	(761 721)
სესხის მიღება	143 820	105 000
სესხის დაფარვა	(500 000)	(105 000)
სესხის პროცენტის დაფარვა	(8 689)	(2 769)
ბანკის დარიცხული პროცენტი	(17 309)	(49 168)
სავალუტო გადაფასების ხარჯი	-	(23 750)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1 415 226)	(837 408)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	659 704	(357 355)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	2 241 926	2 599 281
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	2 901 630	2 241 926

10

დირექტორი

ვახტანგ ალანია

მთ. ბუღალტერი

ლუდმილა ყამარაული

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

	31.12.2022	31.12.2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	23 032 056	12 565 624
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(19 407 194)	(10 837 476)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(1 040 812)	(900 622)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	2 584 050	827 526
გადახდილი მოგების გადასახადი	(5 340)	-
გადახდილი გადასახადები	(465 538)	(319 286)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2 113 172	508 240
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(38 242)	(28 187)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(38 242)	(28 187)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდი	(1 033 048)	(761 721)
სესხის მიღება	143 820	105 000
სესხის დაფარვა	(500 000)	(105 000)
სესხის პროცენტის დაფარვა	(8 689)	(2 769)
ბანკის დარიცხული პროცენტი	(17 309)	(49 168)
სავალუტო გადაფასების ხარჯი	-	(23 750)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1 415 226)	(837 408)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	659 704	(357 355)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	2 241 926	2 599 281
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	2 901 630	2 241 926



მთ. ბუღალტერი

[Handwritten signature]

ვახტანგ ალანია

ლუდმილა ყამარაული

ფინანსური ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სოფმარ“-ი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოში, რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში 1996 წლის 26 სექტემბერს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს. საწარმოს საგადასახადო საიდენტიფიკაციო ნომერია 215080463; იურიდიული მისამართი: საქართველო ქ. ფოთი აღმაშენებლის 30.39 და ფაქტიური მისამართია : საქართველო, ქ. ფოთი 9 აპრილის ხეივანი 30/39

საწარმოს მფლობელი ნატალია ალანია არის ერთი ფიზიკური პირი, რომელიც ფლობს წილის 100%-ს, საწარმოს საწესდებო კაპიტალის შევსებული აქვს და მას კაპიტალის შევსების ვალდებულება არ აკისრია.

შპს „სოფმარ“-ი (შემდეგში საწარმო) საქართველოში რეგისტრაციის დღიდან ეწევა საზღვაო – სახმელეთო ტვირთის გადაზიდვას და ტრანსპორტთან დაკავშირებულ მომსახურებას. იგი უფლებამოსილია განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა: შესყიდვა, რეალიზაცია, ექსპორტი, იმპორტი და სხვა. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას, საზოგადოება ახორციელებს ამ ნებართვის მიღების შემდეგ.

საწარმოს მომავლის შესახებ ხელმძღვანელობამ ყველა ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეაფასა საწარმოს საქმიანობის გაგრძელების უნარი. ხელმძღვანელობას განზრახული არა აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის, ასე რომ მოიქცეს. შესაბამისად, ხელმძღვანელობამ საწარმოს ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

საანგარიშგებო თარიღიდან სულ მცირე თორმეტ კალენდარულ თვეს მაინც მოიცავს, თუმცა შეზღუდული არ არის ამ პერიოდით.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2022 წლის პირველი იანვრით საწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარი. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

საწარმოში მსს ფასს სტანდარტის საფუძველზე მოსამზადებლად განისაზღვრა შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა. ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა. იგი თანმიმდევრულად არის გამოყენებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

მომავალში მისაღები მთლიანი თანხების დღევანდელ ღირებულებასა და ანაზღაურების ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობა აღიარდება, როგორც საპროცენტო ამონაგები.

პროცენტი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3.2 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი შეფასება

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების პირველად აღიარების დროს ისინი ფასდება გარიგების ფასით.

სხვა საწარმოზე გაცემულ გრძელვადიან სესხთან დაკავშირებით, მოთხოვნა აღიარდება მისაღები ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით.

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების გაყიდვის შემთხვევაში, მოთხოვნა აღიარდება ამ საწარმოსგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, რომელიც, როგორც წესი, წარმოადგენს ანგარიშ-ფაქტურაში მითითებულ ფასს.

ბანკიდან აღებული სესხის ვალდებულების თავდაპირველი აღიარება ხდება ბანკისთვის გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით.

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის შეძენის შემთხვევაში, ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

შემდგომი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) თანდართული შენიშვნები 6-16 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

გათვალისწინებით.

სასესხო მოთხოვნები

გაცემულ გრძელვადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება მისაღები ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირითადი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით, გარიგების დანახარჯების გამოქვითვის გარეშე და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

გაცემული სესხები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები, ფასდება მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირითადი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

დაკავშირებული მხარისაგან უპროცენტოდ ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის მიღებიდან წარმოქმნილი ვალდებულება აღიარდება მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

3.3 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

3.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით.

ძირითადი საშუალებების შემდგომი შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობები და ნაგებობები	- 5%
მანქანა დანადგარები -	- 10%
საოფისე აღჭურვილობა	- 10%
ავეჯი და სხვა მოწყობილობები	- 10%
სატრანსპორტო საშუალებები	- 5 %
სხვა ძირითადი საშუალებები	- 5-20%

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის გადახედვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით.

ძირითადი საშუალებების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

3.5 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით.

არამატერიალური აქტივის შემდგომი შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ბუნებრივი რესურსების მოპოვების ლიცენზიებს ამორტიზაცია ერიცხება მოპოვებული ბუნებრივი რესურსის მოცულობის პროპორციულად და აღიარდება მარაგის თვითღირებულების შემადგენელ ნაწილად.

სხვა არამატერიალურ აქტივებს, ამორტიზებადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება 5 პროცენტის წლიური განაკვეთი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.6 მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება „საშუალო შეწონილი“ მეთოდი.

3.7 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

3.8 ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ თანხის საუკეთესო შეფასებით, რომელიც აუცილებელი იქნებოდა (თანხა, რასაც საწარმო, გონივრულ ფარგლებში, დახარჯავდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს) ამ ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ანარიცხების დაკორექტირება, რათა მათში ასახული იყოს იმ თანხის ოდენობის საუკეთესო შეფასება, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით. ანარიცხების აღიარების და კორექტირების თანხა აისახება მოგებაში ან ზარალში.

3.9 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებუ-

ლება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.10 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

3.11 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა,

3.12 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო განაკვეთების საფუძველზე. მიმდინარე მოგების გადასახადი მოიცავს საანგარიშგებო პერიოდში განაწილებული დივიდენდიდან გამომდინარე გადასახდელი მოგებიდან გადასახადის თანხას. საანგარიშგებო პერიოდში გამოცხადებული დივიდენდის განაწილებიდან წარმოშობილი გადასახდელი მოგების გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

4. ამონაგები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
1	შემოსავალი კონტეინერების გადაზიდვებიდან	11,329,138	8,111,547
2	შემოსავალი აგენტირებიდან	1,389,420	1,803,669
3	შემოსავალი ექსპედიტორებიდან	9,693,959	2,597,060
4	შემოსავალი მანქანების გადაზიდვებიდან	266,014	190,378
5	შემოსავალი ელ. დიაგნოსტიკა-ტერმინალიდან	6,160	15,948
6	შემოსავალი იჯარიდან	13,739	14,098
8	შემოსავალი ზეთის და სხვა გაყიდვიდან	16,855	17,011
9	შემოსავალი შენახვიდან		106
10	სხვა შემოსავალი	35,337	97,677
	ამონაგები მიწოდებიდან	22,750,622	12,847,494

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლებად, რომელ პერიოდშიც იქნება გამომუშავებული, მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა ან სხვა ეკონომიკური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აღიარდება ნეტო ღირებულებით ე.ი. მესამე პირის სახელით ამოღებული თანხების (დღგ) გარეშე.

5. სხვა შემოსავლები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
1	საკურსო სხვაობის შემოსავალი	-	187,846
2	საპროცენტო შემოსავალი	202,014	143,420
3	არასაოპერაციო შემოსავალი	667	72,040
4	შემოსავალი მ/ს რეალიზაციიდან	-	24,792
5	სხვა შემოსავალი	-	690
	ჯამი:	202,681	428,788

6. შეძენილი მომსახურების ხარჯები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
1	რეკლამის ხარჯი	33,579	20,317
2	საიჯარო ქირა	22,125	27,000
3	სატვირთო ავტომანქანის იჯარა	27,797	97,794
4	გაზის მიწოდების ხარჯი	5,085	-
5	ხარჯი დაზიანებულ ტვირთებზე	32,047	-
6	ტელეფონის ხარჯი	13,463	13,929
7	ასლებისა და თარგმანების ხარჯი	205	96
8	ელ. მოწყობილობების ტექნიკური მომსახურება	2,250	2,200
9	ელ ენერგიის ხარჯი	43,951	117,986
10	ინტერნეტის ხარჯი	2,917	4,139
11	წყლის ხარჯი	2,735	3,756
12	გადაგზავნის ხარჯი	6,063	5,363
13	დაცვის მომსახურება	7,950	2,928
14	საშვის ღ-ბა		3,789
15	მანქანის დაზღვევა	153,412	95,226
16	ავტომანქანის მომსახურების ხარჯი	21,830	5,406
17	ტერმინალზე სარემონტო სამუშაოები	47	-
18	სანოტარო ხარჯი	662	116
19	აუდიტის ხარჯი	12,712	12,712
20	საწევრო ხარჯი	4,097	4,324
21	ბანკის მომსახურების ხარჯი	17,319	70
22	გზით სარგებლობის მომსახურების ხარჯი	77,055	86,287
23	სააგენტო ხარჯი	1,252,424	1,130,987
24	საექსპედიტორო ხარჯი	100	1,718,955
25	112-ის ხარჯი	60	67
26	ავტომობილის თრექტერის მომსახურება	5,034	5,145
27	საკონტინერო ხარჯები ინ.მეწარმე მძღოლები	2,491,106	301,871
28	საკონტინერო ხარჯები შენახვის და გადატვირთვის	8,284,052	5,972,787
29	ტექ. დათვალიერების და ტესტირების ღ-ბა, სერთიფიკატი და სანომრო ხარჯი	5,627	7,375
30	საკონტინერო ხარჯები საქვეანგარიშოდ	148,611	174,234
31	სამივლინებო ხარჯები	18,976	20,389
32	საექსპედიტორო ხარჯები-საქვეანგარიშოდ	4,411,439	4,250
33	სხვა	9,405	4,446
	ჯამი:	17,114,135	9,843,944

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა.

7. სხვა ხარჯები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
1	კლიენტის მიერ დაუფარავი თანხა	1,544	974
2	სხვა არასაგადასახადო ხარჯი	210	34,286
3	ჯარიმა		5,842
4	ფინანსური დახმარება	11,775	-
5	დახმარება ორგანიზაციებს	6,611	-
6	მ/ს რეალიზაციის თვითღირებულება	23,029	-
	ჯამი:	43,169	41,102

8. ფინანსური ხარჯი

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 31.12.2020
1	ოვერდრაფტი "ვითიბი" ბანკიდან	49,172	49,168
3	ბანკის ხარჯები	8,689	-
	ჯამი:	57,861	66,394

9. პერიოდის გაუნაწილებელი მოგება-ზარალი

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
1	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი წლის დასაწყისში	5,392,706	5,820,764
2	ცვლილება წინა პერიოდის შემოსავლებში და ხარჯებში	-1,087,561	-722,275
3	მიმდინარე წლის მოგება-ზარალი	1,694,672	294,217
	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი წლის ბოლოს	5,999,817	5,392,706

10. ფულადი სახსრები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
1	ფული საბანკო ანგარიშზე - ლარი	270,232	290
2	ფული საბანკო ანგარიშზე -უცხოურ ვალუტაში	2,631,398	2,241,636
3	ფული სალაროში	-	-
	ჯამი:	2,901,630	2,241,926

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საწარმოს ფულადი სახსრების უმეტესობა განთავსებულია საბანკო ანგარიშებზე.

თანდართული შენიშვნები 6-16 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
1	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,081,657	806,654
2	მოთხოვნები პერსონალთან	6,629	5
	ჯამი:	1,088,286	806,659

ზემოთ აღნიშნული მუხლი მოიცავს მოთხოვნებს, რომელთა დაფარვის ვადა მომდევნო წელს იწურება. სავაჭრო მოთხოვნები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საექსპოზიციო მოთხოვნების გამოკლებით.

12. საგადასახადო მოთხოვნები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
1	დღგ	51,267	35,916
2	საპენსიო გადასახადი		331
3	მოგების გადასახადი	22,983	27,323
	ჯამი:	74,250	63,570

13. მარაგი

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
1	მარაგის ნაშთი წლის დასაწყისში	477,411	521,909
2	შეძენა	1,825,116	958,107
3	ხარჯად აღიარებული მარაგი	1,819,348	1,002,605
4	მარაგის ნაშთი წლის ბოლოს	483,179	477,411

14. ძირითადი საშუალებები

(ლარი)

დასახელება	მიწა	შენიშვნები	ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	აგეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
საწყისი (ისტორიული) ღირებულება								
ნაშთი: 31.12.2020	106,185	751,509	288,399	401,912	270,088	104,546	5,447,229	7,369,868
აქტივების შეძენა	0	2,829	508	10,525	5,802	8,523	0	28,187
აქტივების გასვლა	0	0	0	0	0	0	82,513	82,513
ნაშთი: 31.12.2021	106,185	754,338	288,907	412,437	275,890	113,069	5,364,716	7,315,542
აქტივების შეძენა		4,815		4,015	15,020	21,394	3,068	48,312
აქტივების გასვლა				3,128	109,217	30,222	55,040	197,607
ნაშთი: 31.12.2022	106,185	759,153	288,907	413,324	181,693	104,241	5,312,744	7,166,247
აღიარებული ცვეთა								
ნაშთი: 31.12.2020	0	239,389	72,682	185,326	172,773	75,535	3,361,157	4,106,862
ცვეთის დარიცხვა	0	33,945	13,000	32,205	17,405	5,193	347,531	449,279
ცვეთის ჩამოწერა	0	0	0	0	0	0	74,261	74,261
ნაშთი: 31.12.2021	0	273,334	85,682	217,531	190,178	80,728	3,634,427	4,481,880
ცვეთის დარიცხვა		34,162	13,001	32,051	16,459	6,553	296,378	398,604
ცვეთის ჩამოწერა				1,721	96,602	26,920	49,536	174,779
ნაშთი: 31.12.2022	0	307,496	98,683	247,861	110,035	60,361	3,881,269	4,705,705
საბალანსო ღირებულება								
12-31-2020	106,185	512,120	215,717	216,586	97,315	29,011	2,086,072	3,263,006
12-31-2021	106,185	481,004	203,225	194,906	85,712	32,341	1,730,289	2,833,662
12-31-2022	106,185	451,657	190,224	165,463	71,658	43,880	1,431,475	2,460,542

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

15. მსს ფასს-ის პირველად გამოყენების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე

საწარმოს 2022 წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს მსს ფასს-ით მომხმარებელ ფინანსურ ანგარიშგებას.

წინა საანგარიშგები პერიოდებში ფინანსური ანგარიშგების მიმართულებით საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრული ჰქონდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე. მსს ფასს-ის პირველად გამოყენების დროს განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა არსებითად არ განსხვავდება მანამდე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისაგან შესაბამისად, მსს ფასს-ის პირველად გამოყენებას არ გამოუწვევია ცვლილებები საწარმოს კაპიტალში და სრული შემოსავლების აგარიშგებაში მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის 2016 წლის 31 დეკემბრისთვის.

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დირექტორის მირ ხელმოწერილია და გამოცემის ნებართვა გაცა 2023 წლის 22 სექტემბერს.